



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ბრძანება



MES 1 21 0000781953



10/08/2021

N 143/2

2021 წლის 10 აგვისტო ქ. თბილისი

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა გარე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა რეგისტრაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე 2021 წლის 16 აგვისტოდან 2021 წლის 30 აგვისტოს 18.00 სთ-მდე - <https://students.emis.ge>
2. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ, მობილობის უფლება მოპოვებულ სტუდენტთა შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე

რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 2, 3, 6, 7 სექტემბერი. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს სტუდენტის პირადი საქმის ასლი და შემოქმედებით ტურისათვის საფასურის გადახდის ქვითარი.

3. 2021 წლის 8-9 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების ვადად. გამოცდის/შექმედებითი ტურის შედეგების გამოქვეყნების ვადა - 8-9 სექტემბერი. აპელაცია - 9-10 სექტემბერი.

4. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების ვადად და აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი განცხადებით დასტური/თანხმობის დადასტურების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 13-14 სექტემბერი.

5. გარე მობილობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 14 სექტემბერი.

6. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის გამოცემის ვადად განისაზღვროს -2021 წლის 15-16 სექტემბერი.

7. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 17 სექტემბერი.

8. საშემსრულებლო-შემოქმედებით საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის მსურველმა, უფლება მოპოვებულმა სტუდენტმა განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასური - 30 ლარის ქვითარი. აპელაციის საფასური - 20 ლარი.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.

10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კადრების და კანცელარიის სამსახურს.

11. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს რეესტრის წარმოებაზე და მობილობაზე პასუხისმგებელ პირს.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. 64.

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანება N 1.1/63 - 04. 08.2021 წ.

„2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
გიორგი შალუტაშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of several overlapping loops and lines, positioned to the right of the text.